ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2018 წლის 5 ივლისის სხდომის

ოქმი № 4

სხდომას ესწრებოდა: 35 წევრიდან – 18.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: რ. ჯორბენაძე
2. ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების – საქართველოს სამეზობლოს კვლევებისა და კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტების დებულებების დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია
3. დოქტორანტთა სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცება, თემების დაზუსტება, შეცვლა და რამდენიმე სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურებისთვის მსვლელობის მიცემა
   მომხს: ს. დუნდუა

მოისმინეს: 1. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში წარმოადგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს : გ. გოგსაძემ, ზ. დავითაშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა, მ. შამილიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში წარმოდგენილი სახით (თან ერთვის).

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების – საქართველოს სამეზობლოს კვლევებისა და კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტების დებულებათა პროექტები დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს : ი. კაჭკაჭიშვილმა, ნ. ჭალაგანიძემ, ხ. მაისაშვილმა, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების – "საქართველოს სამეზობლოს კვლევებისა" და "კონფლიქტოლოგიის" ინსტიტუტების დებულებები (ოქმს თან ერთვის)
2. ინსტიტუტებს გრანტის მოსაპოვებლად მიეცეთ 3 წლის ვადა

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის საბჭოს წევრმა ს. დუნდუამ დასამტკიცებლად გამოიტანა დოქტორანტთა ხელმძღვანელებისა და თემის დამტკიცების, თემის შეცვლისა და დაზუსტების საკითხები; ასევე წარმოადგინა რამდენიმე დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომებზე მიღებული რეცენზიები და ითხოვა დაცვის პროცედურებისთვის მსვლელობის მიცემა.

აზრი გამოთქვეს : ი. კაჭკაჭიშვილმა, ხ. მაისაშვილმა, ზ. დავითაშვილმა, თ. დოლბაიამ, მ. წერეთელმა, მ. შამილიშვილმა, მ. მაცაბერიძემ და სხვ.

დაადგინეს:

1. დაკმაყოფილდეს ნინო ოხანაშვილის ("კონფლიქტების ანალიზისა და მართვის" სადოქტორო პროგრამის VII სემესტრის დოქტორანტი) თხოვნა სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტების შესახებ და ნაცვლად სათაურისა "ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში" დამტკიცდეს ""ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი: სამხრეთ კავკასიის შემთხვევა";
2. საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის IV სემესტრის დოქტორანტის გიორგი ბადრიძის თემა "დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემისა და საგარეო პოლიტიკის ურთიერთკავშირი" შეიცვალოს სათაურით "ბრექსიტი: დიდი ბრიტანეთის გამოსვლა ევროკავშირიდან";
3. დაკმაყოფილდეს "მასკომუნიკაციის კვლევების" სადოქტორო პროგრამის II სემესტრის დოქტორანტის, მანონ ბოკუჩავას თხოვნა სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლისა და ხელმძღვანელად ასოცირებული პროფესორის – ხათუნა მაისაშვილის დანიშვნის შესახებ;

4. დამტკიცდეს მასკომუნიკაციის კვლევების სადოქტორო პროგრამის II სემესტრის დოქტორანტ სალომე ბელქანიას სადისერტაციო ნაშრომის სათაური "საზოგადოებრივ – პოლიტიკურ მოვლენათა მედიააღქმები და სახვის ეფექტები თანამედროვე ქართულ მასმედიაში", ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი;
5. VIII სემესტრის დოქტორანტი მარინა ქევხიშვილი "სოციოლოგიის" სადოქტორო პროგრამიდან გადავიდეს " მასკომუნიკაციის კვლევების" სადოქტორო პროგრამაზე
6. დამტკიცდეს ქვემოთჩამოთვლილ დოქტორანტთა სადისერტაციო ნაშრომებზე მიღებული რეცენზიები და მიეცეს მსვლელობა დაცვის პროცედურებს:
   1) თამარ ნარინდოშვილი – მასკომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა
   2) თინათინ მაჭარაშვილი – მასკომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა
   3) გიორგი ლეკვეიშვილი – საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა
7. ცნობად იქნას მიღებული, რომ სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტმა თამარ ხოშტარიამ (ხელმძღვანელი ი. კაჭკაჭიშვილი) მიიღო სამი უარყოფითი რეცენზია

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე : თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ.შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

5 ივლისი, 2018

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. ნანა მაჭარაშვილი
12. სალომე დუნდუა

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

13. ნინო ჭალაგანიძე
14. ხათუნა მაისაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე
20. ვაჟა ლორთქიფანიძე
21. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

22. რევაზ ჯორბენაძე
23. ნოდარ ბელქანია
24. ზურაბ აბაშიძე
25. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

26. ალისა სულამანიძე
27. ანნა ჯაყელი
28. მარიამ ლაცაბიძე
29. ელენე ლომსაძე
30. ანნა ცქიტიშვილი
31. გიორგი გოგატიშვილი
32. დიმიტრი სანაია
33. ტარიელ ირემაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანს **თამარ დოლბაიას**

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის **რევაზ ჯორბენაძის**

**მიმართვა**

ქალბატონო თამარ,
წარმოგიდგენთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე (ოქმი N 4, 5 ივლისი, 2018 წელი) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებს,
კერძოდ:

# საბაკალავრო პროგრამა:

1. **საფაკულტეტო საგანი**
- **სილაბუსის განახლება**
- „გამოცდილებითი სწავლა/სწავლების მეთოდები" – 5 კრედიტი, არჩევითი, განახლდა სილაბუსი, დაიხვეწა საკითხები.

2. **საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია"**

**- სასწავლო კურსების გაერთიანება და ლექტორების დამატება**

- „ახალი ამბების ჟურნალისტიკა" 5 კრედიტი, სავალდებულო, ერთსემესტრიანი, დაემატა ლექტორები ასოცირებული პროფესორები ნანული ტალახაძე და ნინო ჭალაგანიძე, ასისტენტ-პროფესორი თამარ ბელქანია, (30/30), ნაცვლად ახალი ამბების ჟურნალისტიკა 1, 2.(ისწავლებოდა ორ სემესტრში)

(2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან შევა ძალაში)

- **წინაპირობის ცვლილება**

- „მედიამენეჯმენტი“
- „მედიის კვლევის მეთოდები“
- „ადამიანის უფლებების გაშუქება“
- „პოლიტიკის  საკითხების გაშუქება“
- „სოციალური საკითხების გაშუქება“
- „ლოკალური მედია - ადგილობრივი ხელისუფლების მეთვალყურე“
- „სამხედრო საკითხებისა და საგანგებო სიტუაციების გაშუქება“
- „კონფლიქტების გაშუქება“
- „ბეჭდური მედია“
- „ონლაინმედია“
- „ანალიზისა და მოსაზრების წერა“

ამ საგნებს, რომლებსაც წინაპირობად „ახალი ამბების ჟურნალისტიკა  1 ან 2“ აქვს მითითებული, შეეცვალათ სახელი შემდეგი ფორმულირებით  „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“.

- **საგნის სახელწოდების ცვლილება და სტატუსის შეცვლა**

- „სტრატეგიული წერა ჟურნალისტებისათვის“ – 5 კრედიტი, არჩევთი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი მარი წერეთელი,  ნაცვლად „ანალიზისა და მოსაზრების წერა(პრაქტიკუმი)“,იყო სავალდებულო.

- **სილაბუსების განახლება (ლიტერატურის დამატება, თემატიკის დაკონკრეტება)**

-

- „ტელემედიის სტაჟირების კრედიტ-კურსი“ – 5 კრედიტი, არჩევითი, ასოცირებული პროგესორი ხათუნა კაჭარავა.

- „მაუწყებლობის პროგრამირება“ – 5 კრედიტი, მოწვეული პროფესორი ელდარ იბერი

- „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია(რადიო, ტელევიზია) - 5 კრედიტი, მოწვეული პროფესორი ელდარ იბერი

- „მასობრივი კომუნიკაციის სისტემა“ - 5 კრედიტი, მოწვეული პროფესორი ელდარ იბერი

- „ტელეჟურნალისტიკის შემოქმედებითი მეთოდები“ - 5 კრედიტი, მოწვეული პროფესორი ელდარ იბერი

- „ბეჭდური მედია“ – 5 კრედიტი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე

- „მედია და პოლიტიკური კომუნიკაციები“ – 5 კრედიტი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი

- „კულტურისა და ხელოვნების გაშუქება“ – 5 კრედიტი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი ხათუნა კაჭარავა (შუალედური შეფასება შეიცვალა)

- **პროგრამის კურიკულუმში ცვლილება**

- კურიკულუმიდან ამოსაღებია რუსუდან ვაშაკიძის გვარი, რადგან ვერ გაიარა აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსი და მის საგნებს სხვა ლექტორი კითხულობს.

- **ახალი სასწავლო კურსების დამატება**

- „აგროსაკითხების გაშუქება“ – 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე (15/15).

- „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა“ – 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე (15/15).

- **სასწავლო კურსებზე ლექტორთა დამატება**

- „კონვერგირებული ნიუსრუმი - მუშაობა მულტიპლატფორმებისთვის“ - ლექტორები: პროფესორი ნათია კუპრაშვილი, ასოცირებული პროფესორი რევაზ ჭიჭინაძე და ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე.

**-საბაკალავრო ნაშრომის დაცვა**

- სადიპლომო ნაშრომის დაცვა გახდა სავალდებულო, ნაცვლად არჩევითისა - 10 კრედიტი. (ძალაში შევა 2015-2016 სასწავლო წელს  და მის შემდეგ მიღებული სტუდენტებისათვის).

**- პროგრამაში კრედიტების  ცვლილება**

- 70 კრედიტი სავალდებულო ნაცვლად 75-ისა და 45 კრედიტი არჩევითი ნაცვლად 40-ისა.

- **საგნის სტატუსის და სემესტრის ცვლილება**

- „მედიის კვლევის მეთოდები“ – 5 კრედიტი, სავალდებულო ნაცვლად არჩევითისა, წაკითხული იქნება ორთავე სემესტრში, ლექტორები ასოცირებული პროფესორები ხათუნა მაისაშვილი, მაია ტორაძე და პროფესორი მარიამ გერსამია.

**-საგნის სტატუსის ცვლილება**

- „რადიომედია(პრაქტიკუმი)“ – 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორები ასოცირებული პროფესორი ნანული ტალახაძე და ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე, ნაცვლად სავალდებულოსი (15/15).

**- ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო დამატებითი პროგრამაში ცვლილება** (Minor)

- „ონლაინმედია“ – 5 კრედიტი, სავალდებულო, ლექტორი ასისტენტ-პროფესორი თეა მჟავანაძე (15/30), ნაცვლად არჩევითისა.

**3. საბაკალავრო პროგრამა „სოციალური მუშაობა“**

**-პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება**

- სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამას უხელმძღვანელებს ასოცირებული პროფესორი სალომე ნამიჭეიშვილი ნაცვლად იაგო კაჭკაჭიშვილისა.

**- ლექტორის ცვლილება**

– „უმცირესობათა პერსპექტივა“ - არჩევითი, თეონა მატარაძის ნაცვლად წაიკითხავს მოწვეული ლექტორი თენგიზ ვერულავა.

- „სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები 1, 2“. - სავალდებულო, თეონა მატარაძის ნაცვლად წაიკითხავს თამარ მახარაძე.

- „კვლევა და მტკიცებულებებზე დაფუძვნებული პრაქტიკა“ - სავალდებულო, თეონა მატარაძის ნაცვლად წაიკითხავს ნელი აკობის.

**-ლექტორის დამატება**

- „საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა“ - ნინო შატბერაშვილთან ერთად წაიკითხავს მოწვეული პედაგოგი ქეთევან გიგინეიშვილი

- „სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა“ - სავალდებულო, ნინო შატბერაშვილთან ერთად წაიკითხავს მოწვეული ლექტორი ირმა ბებერაშვილი.

- **სემესტრის ცვლილება**

– „საერთაშორისო სოციალური კეთილდღეობა“ - არჩევითი, გადავიდა შემოდგომის სემესტრში ნაცვლად გაზაფხულისა.

- „სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა“ - სავალდებულო, გადავიდა გაზაფხულის სემესტრში ნაცვლად შემოდგომისა.

**- ახალი კურსის დამატება**

– „სოციალური მედიცინის საფუძვლები“ - არჩევითი, მოწვეული ლექტორი თენგიზ ვერულევა.

- **სილაბუსების განახლება**

- „კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური მუშაობა“ - მოწვეული ლექტორი გიორგი წოწკოლაური.

- „სოციალური მუშაობა აივ ინფექცია/შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მქონე პირებთან“ - მოწვეული ლექტორი გიორგი წოწკოლაური.

- „ სოციალური მუშაობა ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე დამოკიდებულ პირებთან“ - მოწვეული ლექტორი გიორგი წოწკოლაური.

- „ სოციალური მუშაობის შესავალი“ - მოწვეული ლექტორი გიორგი წოწკოლაური.

- „ სოციალური მუშაობის შესავალი“ - მოწვეული ლექტორი ზურაბ ტატანაშვილი.

4. **საბაკალავრო პროგრამა „სოციოლოგია“**

- **ახალი კურსის დამატება**

- „სამოქალაქო საზოგადოება შედარებით პერსპექტივაში“ – 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი, პროფესორი მარინა მუსხელიშვილი.

5. **საბაკალავრო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“**

- **სასწავლო კურსების სტატუსის შეცვლა**

- „მსოფლიოს ქალაქები:გეოურბანისტიკის საფუძვლები“ - გახდა სავალდებულო ნაცვლად არჩევითისა.

- „სივრცე, პოლიტიკა, იდენტობა“ - გახდა სავალდებულო ნაცვლად არჩევითისა.

- „მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 1“ - გახდა სავალდებულო ნაცვლად არჩევითისა.

- „მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია 2“ - გახდა სავალდებულო ნაცვლად არჩევითისა.

- **სასწავლო კურსის სილაბუსის სრულყოფა**

- „სივრცე, პოლიტიკა, იდენტობა“ - სილაბუსის განახლება, ცვლილება შეფასების სისტემაში.

- „გეოეკონომიკის საფუძვლები“ - სილაბუსის განახლება, ცვლილება შეფასების სისტემაში.

-

**6. საგანმანათლებლო პროგრამა "პოლიტიკის მეცნიერება"**

**- სასწავლო კურსის სილაბუსის განახლება(სილაბუსის გასწორება, საათების გადანაწილება და ერთ შუალედურზე გადასვლა)**

- „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი" – 5 კრედიტი, სავალდებულო, ლექტორი ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე (15/30).

- „მართვა-გამგეობა და პოლიტიკა ცენტრალურ და აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპის ქვეყნებში" - – 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე (15/30).

- „პოლიტიკური თეორიის ძირითადი პრობლემები" - – 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე (15/30).

- „შედარებითი პოლიტიკა" - – 5 კრედიტი, სავალდებულო, ლექტორი ასოცირებული პროფესორი ზვიად აბაშიძე (15/30).

- „პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია" – 5 კრედიტი, სავალდებულო, ლექტორი ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა (30/15).

- „პოლიტიკური ანთროპოლოგია" – 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა (30/15).

- „პოლიტიკური იდეოლოგიები" - 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი სალომე დუნდუა (15/30).

- „დემოკრატია და მოქალაქეობა" – 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი ასისტენტ პროფესორი თამარ ქარაია (15/30)

- „პოლიტიკური კულტურა" – 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ტუკვაძე (15/30)

- „გლობალიზაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები" – 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ტუკვაძე (15/30)

- „მსოფლიო პოლიტიკა" – 5 კრედიტი, სავალდებულო, ლექტორი ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე წურწუმია (30/15)

- „გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა“ - 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე წურწუმია (30/15)

**-ახალი საგნის დამატება**

- - „ლათინური ამერიკის შედარებითი პოლიტიკა“ - 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი ასისტენტ-პროფესორი ალექსანდრე წურწუმია (30/15)

- **სწავლების საფეხურის ცვლილება და ახალი საგნის გადმოტანა**
- „საბჭოთა კავშირი: პოლიტიკა და იდეოლოგია“ – 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე (15/30).

**- საბაკალავრო ნაშრომის დაცვა**

- სადიპლომო ნაშრომის დაცვა გახდა სავალდებულო, ნაცვლად არჩევითისა - 10 კრედიტი. (ძალაში შევა 2015-2016 სასწავლო წელს და მის შემდგომ მიღებული სტუდენტებისათვის).

- **პროგრამაში კრედიტების ცვლილება**

- 45 კრედიტი სავალდებულო ნაცვლად 35-ისა და 75 კრედიტი არჩევითი ნაცვლად 85-ისა.

**7. საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“**

**- ლექტორის და შეფასების კრიტერიუმების შეცვლა**

- „უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ანალიზი“ -- ლექტორი ასისტენტ-პროფესორი დავით მაცაბერიძე ნაცვლად ნინო კერესელიძისა.

**- კურსის სახელწოდების ცვლილება, საკონტაქტო საათების ცვლილება და საათების გადანაწილება**

- „ეთნოსთაშორისო ურთიერთობების დინამიკა და კონფლიქტები კავკასიაში(პოსტ-საბჭოთა პერიოდი). – 5 კრედიტი, (15/30), ნაცვლად „კავკასიის კონფლიქტები“ (30/15).

- **სემესტრის ცვლილება (ერთჯერადი)**

- „ეთნოსთაშორისო ურთიერთობების დინამიკა და კონფლიქტები კავკასიაში(პოსტ-საბჭოთა პერიოდი) - არჩევითი, შემოდგომის სემესტრი ნაცვლად გაზაფხულისა.

- „ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა“ - - არჩევითი, შემოდგომის სემესტრი ნაცვლად გაზაფხულისა.

- „უსაფრთხოებისა და საგარეო პოლოტიკის ანალიზი“ - - არჩევითი, შემოდგომის სემესტრი ნაცვლად გაზაფხულისა.

- „განვითარებადი სამყარო საერთაშორისო ურთიერთობებში“ -- არჩევითი, შემოდგომის სემესტრი ნაცვლად გაზაფხულისა.

**-ლექტორის ცვლილება**

- „საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი“ - მოწვეული ლექტორი სერგი კაპანაძე ნაცვლად მოწვეული ლექტორის გიორგი ხელაშვილისა.

# სამაგისტრო პროგრამები;

1. **სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი გეოგრაფია“**

**- სასწავლო კურსის სილაბუსის სრულყოფა**

- „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემები“ - სილაბუსის განახლება.

**2. სამაგისტრო პროგრამა „სოციალური მუშაობა“**

**-პროგრამის ხელმძღვანელის ცვლილება**

– სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამას უხელმძღვანელებს ასოცირებული პროფესორი ნინო შატბერაშვილი ნაცვლად ლაური ლეპიკისა.

**- ლექტორის ცვლილება**

- „სოციალური კვლევის მეთოდები 1, 2". - სავალდებულო, თეონა მატარაძის ნაცვლად წაიკითხავს მარინა ბურძენიძე.

**- სემესტრის ცვლილება**

- „სოციალური ადვოკატობა" - სავალდებულო, გადავიდა შემოდგომის სემესტრში ნაცვლად გაზაფხულისა.

**- ახალი კურსის დამატება**

– „სოციალური მუშაობის ხარისხი" – 5 კრედიტი, არჩევითი, მოწვეული ლექტორი თენგიზ ვერულავა.

**3. სამაგისტრო პროგრამა „სოციოლოგია"**

**– კურსის სახელწოდების ცვლილება**

- „შრომითი ურთიერთობები საქართველოში ევროინტეგრაციის კონტექსტში" – ნაცვლად „ შრომითი ურთიერთობების სისტემა ევროკავშირში" - 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი, პროფესორი მარინა მუსხელიშვილი.

- „პოლიტიკური ინსტიტუტები: თეორია და საქართველოს რეალობა" – 5 კრედიტი არჩევითი, ლექტორი, პროფესორი გია ჟორჟოლიანი.

**ახალი კურსების დამატება**

- „პოლიტიკური ინსტიტუტები: თეორია და საქართველოს რეალობა" – 5 კრედიტი არჩევითი, ლექტორი, პროფესორი გია ჟორჟოლიანი.

- „ომის, ძალადობისა და სოციალური კონფლიქტის სოციოლოგია(ინგლისურენოვანი კურსი)" -5 კრედიტი, არჩევითი, მოწვეული ლექტორი იუჯინ(ევგენი) სლონიმეროვი.

**4. სამაგისტრო პროგრამა „ ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები" (ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა, სრულ მენეჯმენტს ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი).**

**-ახალი კურსის დამატება**

- „სოციალური მეცნიერებები და შრომითი ურთიერთობები“- 5 კრედიტი, არჩევითი, მოწვეული ლექტორი გიორგი შუბითიძე (თსუ დოქტორანტი).

- „პოლიტიკის ანალიზი“ – 5 კრედიტი, არჩევითი, მოწვეული ლექტორი ტატო ხუნდაძე (ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი).

- **კურსის გაუქმება**

- „მოდერნული და პოსტმოდერნული სოციალური თეორიები“ - ამოღებულია.

- **სტატუსის ცვლილება**

- „პოლიტიკის ეკონომიკა“ - გახდა სავალდებულო ნაცვლად არჩევითისა.

- „ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ - გახდა სავალდებულო ნაცვლად არჩევითისა.

- **სასწავლო კურსის სახელწოდების ცვლილება**

- „სოციალურ-ეკონომიკური უფლებები ევროკავშირში“ - ლექტორი ბექა ძამაშვილი(ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი) ნაცვლად „ადამიანის უფლებები ევროკავშირში“.

**-სასწავლო კურსების გაერთიანება**

- „კეთილდღეობის სისტემები ევროკავშირსა და საქართველოში“ - ანა დიაკონიძე (თსუ დოქტორანტი) ნაცვლად ორი კურსისა - „კეთილდღეობის სისტემები ევროკავშირში“ და „კეთილდღეობის სისტემები საქართველოში“.

- „ევროკავშირის ფუნქციონირება, სამეზობლო და პარტნიორების პოლიტიკა“ - გურანდა ჭელიძე(კავკასიის უნივერსიტეტი) ნაცვლად ორი კურსისა - „ევროკავშირის ფუნქციონირება“ და „ევროკავშირის გაფართოება,სამეზობლო და პარტნიორობის პოლიტიკა“.

- „დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა“ - ანა დიაკონიძე (თსუ დოქტორანტი) ნაცვლად ორი კურსისა - „დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური

ეკონომიკა ევროკავშირში“ და „დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა საქართველოში“.

- **კრედიტების და სტატუსის ცვლილება**

- „სოციალური კვლევის მეთოდები“ – 10 კრედიტი, სავალდებულო, ლექტორი, პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი, ნაცვლად ორი საგნისა - „სოციალური კვლევის მეთოდები 1“ და - „სოციალური კვლევის მეთოდები 2“ (არჩევითი კურსები)

5. **სამაგისტრო პროგრამა „კონფლიქტების ანალიზი და მართვა“**

**- პროგრამის კრედიტების ცვლილება**

- სავალდებულო საგნები გახდა 65 კრედიტი, ნაცვლად 60-ისა;
- თავისუფალი კრედიტი გახდა 5 კრედიტი, ნაცვლად 10-ისა.

**- სტატუსის ცვლილება**

- „მედიაცია“ – 5 კრედიტი, გახდა სავალდებულო ნაცვლად არჩევითისა.

- **სასწავლო საგნის სილაბუსის განახლება**

- „სამაგისტრო კვლევის დიზაინი“ - განახლდა ლიტერატურა და სასწავლო კურსის შინაარსი.

- **სემესტრის ცვლილება**

- „ეკონომიკური ფაქტორების როლი კონფლიქტების ტრანსფორმაციაში“ -5 კრედიტი, არჩევითი, გადავიდა პირველ სემესტრში ნაცვლად მეორისა.

- „კონფლიქტების პრევენცია და მართვა საგანმანათლებლო სისტემაში“ – 5 კრედიტი, არჩევითი, გადავიდა მეორე სემესტრში ნაცვლად მესამისა.

- „პროექტის მართვა“ – 5 კრედიტი, არჩევითი. გადავიდა პირველ სემესტრში ნაცვლად მესამისა.

6. **სამაგისტრო პროგრამა „ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება“**

**- ახალი კურსის დამატება**

- „ინტერპერსონალური კომუნიკაციის პრაქტიკა“ – 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი, პროფესორი ნოდარ ბელქანია. (შემოდის მესამე სემესტრიდან).

**7. სამაგისტრო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები“**

**- საგნის აღდგენა ძველი სამაგისტრო პროგრამიდან**

- „საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი და კვლევა“ - 5 კრედიტი, არჩევითი, ლექტორი პროფესორი მარიამ გერსამია (15/15), საგანი წაიკითხება გაზაფხულის სემესტრიდან(2019 წელი).

- **სტატუსის ცვლილება**

- „სემიოტიკის საფუძვლები“ – 5 კრედიტი, არჩევითი, მოწვეული პროფესორი მ.კვაჭანტირაძე (30/15), ნაცვლად სავალდებულოსი.

**-სილაბუსში და პროგრამაში ლექტორის ცვლილება**

- „საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები და მედია“ – 5 კრედიტი, არჩევითი, წაიკითხავს მოწვეული ლექტორი სესილი გოგიბერიძე , ნაცვლად რუსუდან ვაშაკიძისა(15/15).

**8. სამაგისტრო პროგრამა „დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია“**

**- ახალი საგნის დამატება**

- „კომპიუტერული პროგრამები დემოგრაფიაში (პრაქტიკული)“ – 5 კრედიტი, არჩევითი, მოწვეული ლექტორი ნიკოლოზ მაღლაფერიძე (30/15).

**9. სამაგისტრო პროგრამა „პოლიტიკის მეცნიერება“**

**- სილაბუსის განახლება**

- „კონფლიქტები კავკასიაში და მათი მოგვარების გზები“ ლექტორები მალხაზ მაცაბერიძე, ალექსანდრე კუხიანიძე და ჯაბა უროტაძე.

**- საგნის ამოღება**

- „საბჭოთა კავშირი: პოლიტიკა და იდეოლოგია“

პატივისცემით,

რევაზ ჯორბენაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის  სამსახურის უფროსი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის -

საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტი (შემდგომში – ,,ინსტიტუტი“; ინსტიტუტის სახელწოდება ინგლისურ ენაზე - Institute for Georgia’s Neighbourhood Studies, IGNS) წარმოადგენს ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს.

2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ფაკულტეტის დებულებით.

3. ინსტიტუტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის წინაშე.

**მუხლი 2. ინსტიტუტის მიზნები და უფლებამოსილებანი**

1. ინსტიტუტის მიზნებია:

ა) საკუთარი გეგმის შესაბამისად, აგრეთვე სახელმწიფოს ან კერძო სექტორის დაკვეთით, ინტერდისციპლინურ დონეზე ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამუშაოების განხორციელება საქართველოს მეზობელი ქვეყნების შიდა და საგარეო პოლიტიკისა და მასთან დაკავშირებული ისტორიული, გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური და სხვა ხასიათის საკითხების შესასწავლად და იქ მიმდინარე პოლიტიკური და სხვა პროცესების მონიტორინგის მიზნით;

ბ) საქართველოს მეზობელი ქვეყნების პოლიტიკის გეოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური, კულტურული, სოციალურ - ფსიქოლოგიური, სამართლებრივი ფონის გაანალიზება. მეზობელი ქვეყნების გეოპოლიტიკური კოდების შესწავლა, უპირველესად, საქართველოსთან დამოკიდებულების თვალსაზრისით;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფაკულტეტის სტუდენტების სამეცნიერო-კვლე- ვით საქმიანობაში, სამეცნიერო გრანტებში, სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვის ხელშეწყობა;

2. ინსტიტუტი უფლებამოსილია:

ა) განსაზღვროს საინსტიტუტო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პროგრამის პრიორიტეტები;

ბ) ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები, „მრგვალი მაგიდები“ და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა სამეცნიერო ცენტრებთან დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები;

დ) ორგანიზება გაუკეთოს სამეცნიერო ჟურნალის გამოცემას;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა.

**მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა**

1. ინსტიტუტს ჰყავს დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს ინსტიტუტის მუშაობას.
2. ინსტიტუტის მმართველი ორგანოა საბჭო, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 9 წევრით. საბჭოში შედიან მეცნიერები ინსტიტუტის პრობლემატიკასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან, მათ შორის უნივერსიტეტის ემერიტუსები, აგრეთვე სპეციალისტები სხვა სამეცნიერო ცენტრებიდან. ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობას დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.

3. ინსტიტუტის დირექტორს ჰყავს მოადგილე. ინსტიტუტის დირექტორს და დირექტორის მოადგილეს 3 წლის ვადით ირჩევს ინსტიტუტის საბჭო.
4. დირექტორთან იქმნება დირექტორის ოფისი მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს დირექტორი ინსტიტუტის საბჭოსთან შეთანხმებით. დირექტორის ოფისს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანი.

6. ინსტიტუტის დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს ასრულებს დირექტორის მოადგილე.

7. სხვადასხვა სპეციალობის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ინსტიტუტში ფორმალური გაერთიანებისა და ინსტიტუტის ეგიდით სამეცნიერო პოტენციალის უკეთ გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, ინსტიტუტი კომპლექტდება უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალობის (აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, საზოგადოებრივი გეოგრაფია, სამართალმცოდნეობა, საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ეკონომიკა, სოციალური ფსიქოლოგია და სხვ.) თანამშრომლებით, რომლებიც ხდებიან ინსტიტუტის წევრები.

8. ინსტიტუტის წევრი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, განსაკუთრებულ შემთხვევაში, დოქტორანტი, აგრეთვე ინსტიტუტის პრობლემატიკასთან დაკავშირებული თვალსაჩინო სპეციალისტი სხვა სამეცნიერო ცენტრებიდან.

9. ინსტიტუტის ყველა წევრს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ინსტიტუტის საბჭო.

10. ინსტიტუტის წევრი ვალდებულია განახორციელოს საბჭოსა და დირექტორის გადაწყვეტილებები. აქტიური მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტის საქმიანობაში.

11. ინსტიტუტის სტრუქტურით განსაზღვრულ საშტატო/ანაზღაურებად თანამდებობებს მხოლოდ საგრანტო ან სხვა არასაუნივერისტეტო/არასაფაკულტეტო დაფინანსების შემთხვევაში წარმოადგენს: ინსტიტუტის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანი, მთავარი სპეციალისტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, ინგლისური ენის სპეციალისტი, რომელთაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

12. ინსტიტუტში მოქმედებს თემატური განყოფილებები

**მუხლი 4. ინსტიტუტის საბჭოს უფლება-მოვალეობები**

1. ინსტიტუტის საბჭო:

ა) განიხილავს და ამტკიცებს დირექტორის ანგარიშს და შემუშავებულ რეკომენდაციებს შემდგომი საქმიანობისათვის.

ბ) გადაწყვეტილებას იღებს ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ განეკუთვნება მხოლოდ

დირექტორის კომპეტენციას.

გ) საბჭოს წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით .

დ) საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ. დამატებითი შეკრების მოწვევა შეიძლება დირექტორის ან საბჭოს წევრების ერთი მესამედის ინიციატივით.

ე) საბჭოს ხელმძღვანელობს დირექტორი, ხოლო მისი არყოფნის დროს დირექტორის მოადგილე.

ვ) საბჭოს დღის წესრიგს განსაზღვრავს საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს წევრების წინადადებათა გათვალისწინებით, ხოლო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრება მოწვევის ინიციატორთა მიერ.

ზ) საბჭოს დღის წესრიგი წევრებს ეგზავნებათ სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე.

თ) საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

ი) საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანი.

**მუხლი 5. დირექტორის უფლება-მოვალეობები**

1. ინსტიტუტის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც:

ა) ადგენს ინსტიტუტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას და წარუდგენს საბჭოს დასამტკიცებლად.

ბ) შეიმუშავებს ინსტიტუტის ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

გ) წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

დ) წარუდგენს ინსტიტუტის მუშაობის ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის დეკანსა და ინსტიტუტის საბჭოს წელიწადში ერთხელ.

## მუხლი 6. ინსტიტუტის ქონება და დაფინასება

1. თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ინსტიტუტისათვის ფაკულტეტის მიერ გამოყოფილია სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონება.

2. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:

ა) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი.

ბ) გრანტებით მიღებული შემოსავალი.

გ) შემოწირულობები.

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები ხმარდება ინსტიტუტის დაფინანსებას.

## მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მისი მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 8.  დასკვნითი დებულებები**

ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესითა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებებით.

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი (შემდგომში - ,,ინსტიტუტი“) არის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული.
2. ინსტიტუტი განახორციელებს სხვადასხვა სახის საკვლევ, საკონსულტაციო და საგანმანათლებლო (სემინარები, ტრენინგები) საქმიანობას ფაკულტეტის სპეციალიზაციის ფარგლებში.
3. ინსტიტუტის შემადგენლობაში ასევე შედის მედიაციის კლინიკა.
4. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ფაკულტეტის დებულებით.
5. ინსტიტუტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსა და დეკანის წინაშე.

**მუხლი 2. ინსტიტუტის მიზანი და ამოცანები**

1. ინსტიტუტის მიზანია საზოგადოების სხვადასხვა სფეროში არსებული კონფლიქტების დარეგულირების, გადაჭრის, პრევენციისა და ტრანსფორმაციის კვლევა და ანალიზი.
2. სამეცნიერო კონფერენციების/სემინარების, ტრენინგების, სეზონური სკოლების ორგანიზაცია კონფლიქტების მოგვარების სფეროში, მათ შორის დისტანციური სწავლების მეთოდით.
3. კვლევებისა და პუბლიკაციების, კლინიკური და საკონსულტაციო პროგრამების, საექსპერტო მომსახურების განხორციელება.
4. ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობა - გამოცდილების და ინფორმაციის გაზიარება, ერთობლივი პროექტების განხორციელება;
5. უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის თავისი კომპეტენციის ფარგლებში დახმარების გაწევა;

6. გრანტების მოპოვება, სამეცნიერო და სხვა სახის პროექტების განხორციელება.

**მუხლი 3. ინსტიტუტის  უფლებამოსილებები**

1. განსაზღვროს საინსტიტუტო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პროგრამის პრიორიტეტები;
2. ჩაატაროს სამეცნიერო კონფერენციები, „მრგვალი მაგიდები“ და სამეცნიერო ხასიათის სხვა ტიპის ღონისძიებები;
3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა სამეცნიერო ცენტრებთან დაამყაროს სამეცნიერო კონტაქტები;
4. კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს;
5. კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობა.

**მუხლი 4. ინსტიტუტის  სტრუქტურა და მართვის ორგანოები**

1. ინსტიტუტის სტრუქტურა მოიცავს ინსტიტუტის პერსონალს, დირექტორსა და საბჭოს, ასევე მედიაციის კლინიკას;
2. ინსტიტუტის საქმიანობის პოლიტიკის განმსაზღვრელი მმართველობითი ორგანო არის ინსტიტუტის საბჭო (შემდგომში - ,,საბჭო“);
3. ინსტიტუტის საბჭო იქმნება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით 4 წლის ვადით;
4. ინსტიტუტს ჰყავს დირექტორი, რომელიც ხელმძღვანელობს ინსტიტუტის მუშაობას.
5. დირექტორთან იქმნება დირექტორის ოფისი მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს დირექტორი ინსტიტუტის საბჭოსთან შეთანხმებით;
6. ინსტიტუტის პერსონალის შემადგენლობაში შედის კონფლიქტოლოგიის სასწავლო პროგრამებში მონაწილე აკადემიური პერსონალი და დარგის სხვა სპეციალისტები, რომლებიც ხდებიან ინსტიტუტის წევრები.

**მუხლი 5. ინსტიტუტის საბჭო**

1. ირჩევს დირექტორს;
2. განიხილავს და ამტკიცებს დირექტორის ანგარიშს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;
3. გადაწყვეტილებას იღებს ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ განეკუთვნება მხოლოდ დირექტორის კომპეტენციას.
4. საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ. დამატებითი შეკრების მოწვევა შეიძლება დირექტორის ან საბჭოს წევრების ერთი მესამედის ინიციატივით.

5. საბჭოს ხელმძღვანელობს დირექტორი;

6. საბჭოს დღის წესრიგს განსაზღვრავს დირექტორი საბჭოს წევრების წინადადებების გათვალისწინებით, ხოლო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი განისაზღვრება მოწვევის ინიციატორთა მიერ;

7. საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით;

8. საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. საბჭოს მდივანს ირჩევს საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით;

9. საბჭოს წევრობა ანაზღაურებადი არ არის.

**მუხლი 6. დირექტორი**

1. დირექტორს ირჩევს ინსტიტუტის საბჭო 3 წლის ვადით საბჭოს წევრებიდან, ხმების უმრავლესობით.

2. ინსტიტუტის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც:

ა) წარმართავს ინსტიტუტის საქმიანობას დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად;

ბ) ადგენს ინსტიტუტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას და წარუდგენს საბჭოს დასამტკიცებლად;

გ) ხელმძღვანელობს კვლევითი და საკონსულტაციო პროგრამების ორგანიზირებულად წარმართვას და განხორციელებას;

დ) წარუდგენს ინსტიტუტის მუშაობის ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს,ფაკულტეტის დეკანსა და ინსტიტუტის საბჭოს წელიწადში ერთხელ.

**მუხლი 5. ინსტიტუტის პერსონალი/წევრი**

1. ინსტიტუტის წევრი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ემერიტუსი, აგრეთვე ინსტიტუტის პრობლემატიკასთან დაკავშირებული თვალსაჩინო სპეციალისტი სხვა სამეცნიერო ცენტრებიდან, განსაკუთრებულ შემთხვევაში დოქტორანტი;

2. ინსტიტუტის პერსონალი ვალდებულია:

ა) განახორციელოს საბჭოს და დირექტორის გადაწყვეტილებები;

ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტის საქმიანობაში.

3. ინსტიტუტის წევრს უფლებამოსილება უწყდება საკუთარი სურვილით, ან საბჭოს გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

**მუხლი 6. ინსტიტუტის ქონება და დაფინანსება**

1. თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ინსტიტუტს გამოყოფილი აქვს უნივერსიტეტის/ფაკულტეტის უძრავი და მოძრავი ქონება;

2. ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:

ა) სხვადასხვა სასწავლო პროგრამების და ტრეინინგებისგან მიღებული შემოსავალი;

ბ) სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების და დაინტერესებულ პირთათვის საკონსულტაციო პრაქტიკიდან და მედიაციის სამსახურიდან შემოსული სახსრებ;

გ) გრანტები, სახელმწიფო, საერთაშორისო და კერძო დონორი ორგანიზაციებიდან დახმარება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

3. ინსტიტუტის საქმიანობით მოზიდული სახსრები ხმარდება ინსტიტუტის დაფინანსებას.

**მუხლი 7. ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

ინსტიტუტის რეორგანიზაცია, ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და
პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს
თამარ დოლბაიას

კონფლიქტების ანალიზის და მართვის
მე-7 სემესტრის დოქტორანტის, ნინო
ოხანაშვილის პ.N 24001027828
ტელ. 598 20-34-05

# განცხადება

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ ვარ კონფლიქტების ანალიზის და მართვის დოქტორანტი.

გთხოვთ დამრთოთ ნება, სადისერტაციო ნაშრომის სათაური – „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ევროპული მოდელები საქართველოს კონფლიქტების ჭრილში", შეიცვალოს (დაზუსტდეს) ახალი სათაურით – „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ევროპული მოდელების თეორიული ანალიზი". ([illegible] შეთანხმებით)

პატივისცემით,

ნინო ოხანაშვილი

31.05.2018

31 10857/30 2
05 018

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, პროფ. ალექსანდრე კუხიანიძეს

ამავე ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელის პროფ. ზურაბ დავითაშვილის

# განცხადება

ბატონო ალექსანდრე,

მოგახსენებთ, რომ ვარ კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ნინო ოხანაშვილის დისერტაციის ხელმძღვანელი. ვაცხადებ თანხმობას, რომ სადისერტაციო თემის სათაური „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების ჭრილში" შეიცვალოს ახალი სათაურით - „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების თეორიული ანალიზი" (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა).

პატივისცემით, პროფ. ზურაბ დავითაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს
ქალბატონ თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის IV სემესტრის დოქტორანტის გიორგი ბადრიძის
პ/ნ 01010001459
ტელ: 595770798

განცხადება

გთხოვთ თქვენს ნებართვას, რათა დავაკორექტირო ჩემი სადოქტორო ნაშრომის სათაური: „დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემის და საგარეო პოლიტიკის ურთიერთკავშირი“ შეიცვალოს სათაურით - „ბრექსიტი: დიდი ბრიტანეთის გამოსვლა ევროკავშირიდან“.

აღნიშნული ცვლილება აზუსტებს კვლევის შინაარს და კვლავაც დიდ წილად მიეძღვნება ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემის და საგარეო პოლიტიკის ურთიერთკავშირის საკითხს, რომელიც განხილული იქნება ბრექსიტის მაგალითზე.

პატივისცემით,

გიორგი ბადრიძე

17.05. 2018

10160/30 2
17 05 18

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს
ქალბატონ თამარ დოლბაიას

პროფესორ სერგი კაპანაძის

განცხადება

თანახმა ვარ, დოქტორანტმა გიორგი ბადრიძემ სადოქტორო ნაშრომის სათაურში შეიტანოს აღნიშნული ცვლილება.

პატივისცემით,

პროფესორი სერგი კაპანაძე ს. კაპანაძე
დოქტორანტ გიორგი ბადრიძის სამეცნიერო ხელმძღვანელი

17.05. 2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ალექსანდრე კუხიანიძეს

ამავე უნივერსიტეტის, მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის პირველი კურსის

სტუდენტი მანონ ბოკუჩავა

(პ.ნ 62006053892, ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის 1.17, 598 508 510; manonbokuchava@gmail.com)

გთხოვთ, მომცეთ შესაძლებლობა შევცვალო სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი. ჩემი სურვილია აღნიშნული მიმართულებით დავასრულო თანამშრომლობა, ფუნდამენტურად განსხვავებული შეხედულებების გამო, ქალბატონ მაია ტორაძესთან. მსურს ჩემი სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი გახდეს ქალნატონო ხათუნა მაისაშვილი. აქვე, ჩემთვის არაა მისაღები თანახელმძღვანელის დამატება, ამიტომ გთხოვთ, განახილოთ მხოლოდ ხელმძღვანელის შეცვლის საკითხი.

ველი გადაწყვეტილებას, რომელიც გამომდინარეობს სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან.

პატივისცემით:

მანონ ბოკუჩავა

15 მაისი, 2018 წელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და
პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,
ქ-ნ თამარ დოლბაიას
ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის
ნათელა მაისაშვილის

თ ა ნ ხ მ ო ბ ი ს წერილი

თანახმა ვარ, სტუდენტის ხელმძღვანელობა გავუწიო [illegible]
[illegible] „პოლიტიკური კომუნიკაცია" [illegible], [illegible].

[illegible]

16.05.2018

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,

ქ-ნ თამარ დოლბაიას

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების

ასოცირებული პროფესორის, მარი წერეთლის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გთხოვთ, ფაკულტეტის საბჭოზე დაამტკიცოთ მეორესემესტრელი დოქტორანტის, სალომე ბელქანიას სადოქტორო ნაშრომის სათაური: **საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა მედიააღქმები და ასახვის ეფექტები თანამედროვე ქართულ მასმედიაში** (ხელმძღვანელი მარი წერეთელი).

მ. წერეთ მარი წერეთელი

02.07.2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს თამარ დოლბაიას

სოციოლოგიის მიმართულების სადოქტორო პროგრამის
მერვე სემესტრის სტუდენტის მარინე ქევხიშვილის
პირ.# 01010013122
ტელ: 599708910

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ ჩემი სადისრტაციო თემა „სოციალური მედია და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ტენდენციები" მოითხოვს სოციალური მედიის გამოყენების, მასობრივი კომუნიკაციისა და მედია გავლენების შესწავლას.

სოციალურ მედიასთან დაკავშირებული საკითხების სრულფასოვნად შესასწავლად მიზანშეწონილად მიმაჩნია სიღრმისეულად გავეცნო და დავეუფლო მასობრივი კომუნიკაციის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, მედიის და მასკომუნიკაციის სისტემების არსს, ინტერდისციპლინური მიდგომით კვლევას. ყოველივე აღნიშნული ახალი მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით ცოდნის დაგროვებასა და მეცნიერული გამოცდილების შეძენაში დამეხმარება, რაც თავის მხრივ, სადისერტაციო ნაშრომის სრულყოფას შეუწყობს ხელს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ არსებული ვითარება და ნება დამრთოთ, სოციოლოგიის მიმართულების სადოქტორო პროგრამიდან გადავიდე მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე.

პატივისცემით,

მარინე ქევხიშვილი [signature]

29.05.2018

10768/30 3
30 05 018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

ქალბატონ თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო

პროგრამის ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის

ნინო ჭალაგანიძის

განცხადება

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ როგორც მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, თანახმა ვარ, სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტმა მარინე ქევხიშვილმა გააგრძელოს დოქტორანტურაში სწავლა და დაასრულოს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის ფარგლებში.

პატივისცემით,

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის

ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ნინო ჭალაგანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დეკანს ქალბატონ თამარ დოლბაიას

ამავე ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის
მიმართულების ასოცირებული პროფესორის ხათუნა მაისაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

თანახმა ვარ, სამეცნიერო ხელმძღვანელობა გავუწიო დოქტორანტ მარინე ქევხიშვილს „მასობრივი კომუნიკაციის" მიმართულებაზე გადმოსვლის შემდეგ.

პატივისცემით,

ხათუნა მაისაშვილი,

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ თამარ დოლბაიას
ამავე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს
მდივნის სალომე დუნდუას

## მიმართვა

მოგახსენებთ, რომ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში შემოსულია ოთხი დოქტორანტის რეცენზიები. იქიდან გამომდინარე, რომ ოთხივე დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომზე მიღებული ყველა რეცენზია არის შესაბამისობაში სადისერტაციო საბჭოს მოთხოვნებთან, გთხოვთ, მისცეთ მსვლელობა შემდეგი დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომების განხილვას:

1. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი თამარ ნარინდოშვილი; სადისერტაციო ნაშრომი: „ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში (1995-2015)“. ხელმძღვანელი: პროფესორი მარიამ გერსამია. **სამივე რეცენზია არის დადებითი.**

**ქართველი შემფასებლები:** 1.რევაზ ჭიჭინაძე - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციიების მიმართულების ასოცირებული პროფესორი; E.mail: Rezo.tchitchinadze@gmail.com
2.ზაზა ცოტნიაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; პროფესორი E.mail: ztsotniashvili@gmail.com
**უცხოელი შემფასებელი:** ერიკ ფრიდმანი - მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი; E.mail: Freedma5@msu.edu;

2. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი თინათინ მაჭარაშვილი;
   სადისერტაციო ნაშრომი: „ინფორმაციის ვიზუალიზების ტენდენცია თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში - 2012-2014 წლების გამოცდილება“. ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მანანა შამილიშვილი. **სამივე რეცენზია არის დადებითი.**

**ქართველი შემფასებლები:** 1.ხათუნა მაისაშვილი - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების ასოცირებული პროფესორი; E.mail: Khatuna.maisashvili@tsu.ge
2.თამარ ლომიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; E.mail: lomidzet@gmail.com

უცხოელი შემფასებელი: ვიტა ზელცე - ლატვიის უნივერსიტეტის პროფესორი; სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, კომუნიკაციის კვლევების დეპარტამენტი E.mail: vita.zelce@lu.lv

3. **სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი თამარ ხოშტარია;**

   **სადისერტაციო ნაშრომი „ახალგაზრდების ღირებულებები და მათი განსხვავება უფროსი თაობის ღირებულებებისგან საქართველოში"; სამეცნიერო ხელმძღვანელი:** ი. კაჭკაჭიშვილი. მიღებული ორი რეცენზი არის უარყოფითი, **ერთი, უცხოელი ექსპერტის მიერ გამოგზავნილი წერილი, სადაც იგი წინასწარ აფიქსირებს საკუთარ** მოსაზრებას - არის ასევე უარყოფითი.

**ქართველი შემფასებლები:** 1.ლია წულაძე - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიის სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი; E.mail: lia.tsuladze@tsu.ge

2.ნანა სუმბაძე - თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი; პროფესორი; მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი; E.mail: nana580798@gmail.com

**უცხოელი შემფასებლები:** იუკა გრონოუ - ჰელსინკის უნივერსიტეტის პროფესორი E.mail: jukka.gronow@helsinki.fi

4. **საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი გიორგი ლეკვეიშვილი;**

   სადისერტაციო ნაშრომის „სამხედრო ოკუპაციების წარუმატებლობის მიზეზები" ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თორნიკე თურმანიძე.**სამივე რეცენზია არის დადებითი**

**ქართველი შემფასებლები:** 1.სოფიო პეტრიაშვილი - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიის საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული პროფესორი; E.mail: petriashvilisophia@yahoo.com

2.ნიკოლოზ სამხარაძე - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიის საერთაშორისო ურთიერთობების ასისტენტ პროფესორი; E.mail:samkharadze@gmail.com

**უცხოელი შემფასებელი:** ქით დ. დიქსონი - ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტი, აშშ, პროფესორი; E.mail: dicksonk@ndu.edu

სალომე დუნდუა

ასოცირებული პროფესორი

03.07. 2018